პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 11 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

282 (980)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ნომერი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ვემზადოთ ამ დღისათვის.

მიმდინარე წლის შემოდგომზე გამოწვეულ ახალგაზრდათა კულტურული მომზადების დონე უფრო მაღალი იყო, წარსულ წლებთან შედარებით.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალწვეულებში ამ ჟამად არ იყოს არც ერთი პირი წერა-კითხვის არამცოდნე. ნაწილების ახალწვეულებით შევსების შემდეგ, მათ შორის მრავალი აღმოჩნდენ წერა-კითხვის სრულიად არა მცოდნეები, შედგენილ იქნა მათი სია, დაყვეს ჯგუფებად და შეუდგენ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას დაჯერითი წესით.

წითელ არმიაში ჩვენ ახლო მომავალში არ უნდა გვყავდეს და არც შეიძლება გვყავდეს წერა-კითხვის არა მცოდნე არც ერთი წითელ არმიელი. წერა-კითხვის არა მცოდნე ახალწვეულმა თუ არ შეისწავლა პირველ რიგში წერა-კითხვა, ისე ვერ გაერკვევა სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებში და ვერაფერს ვერ შეისწავლის ამ დარგებში.

თავიანთ მხრივ ნაწილებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა ჩატარდეს სასურველად და ყველას შეეძლოს კარგად კითხვა და წერა თავის სამშობლო ენაზე.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლის პირველ მაისის დღესასწაულის დროს ყველა წითელ არმიელს თავისუფლად შეეძლოს წაკითხვა წითელი ფიცის ტექსტისა, რადგან სწორედ, მუშათა კლასის ამ საერთაშორისო დღეს—პირველ მაისს მოხდება წითელარმიელების მიერ წითელი ფიცის მიღება. ფიცის მიღებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. ჩვენი ნაწილების ყურადღება აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული და ეს ამოცანა შეასრულონ მთლიანად.

ამ საქმის ნაყოფიერად ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ნაწილებში მყოფ ძველმა და წერა-კითხვის კარგად მცოდნე წითელ არმიელებმაც. ისინი ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ ამ დარგში მომუშავე პირებს და თვითონაც ასწავლონ წერა კითხვა უცოდინარ ამხანაგებს.

ახალწვეულებს კი მართებთ, გულმოდგინედ მოეკიდონ ამ საქმეს და ბეჯითი მეცადინეობით პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

## 1905 წლის რევოლუციის 20 წლის თავი და სკოლის გარეშე მუშაობა.

მოახლოვებულია 1905 წლის რევოლუციის 20 წლის თავის დღესასწაული. ნაწილები უკვე შეუდგენ მის სათანადოდ ჩატარებას. ზოგიერთ ნაწილში უკვე გამოყოფილია სპეციალური კომისიები. მთელი სიმძიმე დღესასწაულის ჩატარებისა დაეწვება სკოლის გარეშე მუშაობას და ამ უკანასკნელს მართებს გაითვალისწინოს წინასწარ მთელი სირთულე კამპანიისა, რომ არცერთი მომენტი არ დარჩეს აღუნიშნავი.

1905 წლის რევოლუციის კამპანია გრძელდება დეკემბრის 19-დან იანვრის 22-მდის და ამ ხნის განმავლობაში სკოლის გარეშე განათლებას ეძლევა საშვალება მთლიანად ამოსწუროს საკითხი და სასურველად დაგვირგვინოს დღესასწაული.

მთავარი მუშაობა უნდა სწარმოებდეს ლენინის კუთხეში. აქ უნდა გამოიყოს განყოფილება სახელწოდებით „1905 წელი“, რომელშიაც უნდა იქნეს მოგროვილი მასალა 1905 წლის რევოლუციის დამახასიათებელი, ლენინის კუთხეში უნდა იმართებოდეს დრო გამოშვებით ბაასი 1905 წლის რევოლუციის ირგვლივ, იკითხებოდეს მოთხრობები, ლექსები, მოგონებები, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან ჩვენს ნაწილებში. სასურველი იქნება გამოიკრას კუთხეში 1905 წლის რევოლუციის ქრონოლოგია, რომელიც უეჭველია ძალიან დააინტერესებს, როგორც წითელ არმიელებს, ისე მეთაურთა შემადგენლობას.

კამპანიის ჩატარების მსვლელობაში სასურველია გაიმართოს ორი ან სამი მასიური საღამო. პროგრამები ამ საღამოების უნდა გამოხატავდნენ 1905 წლის ამბების ფაქტიურ მსვლელობას. მასალები ინსცენიროვკებისთვის, დეკლამაციისთვის, ცოცხალი სურათებისთვის ბლომად არის, საჭიროა მხოლოდ მათი ფართედ გამოყენება. უნდა მოეწყოს ექსკურსიები რევოლუციის მუზეუმში, რომლის გახსნაც მოხდება ამ დღეებში. ამ მუზეუმში ბლომად არის დაგროვილი მასალა 1905 წლის რევოლუციის შესახებ და ექსკურსიები მისცემენ ნათელ წარმოდგენას ამ ამბებზე.

ბიბლიოთეკების მიერ მოწყობილ უნდა იქნეს წიგნების გამოფენა და მასიური ხმამაღალი კითხვები 1905 წლის ამბებზე. ბიბლიოთეკა უნდა ეცადოს და შეიძინოს 1905 წლის შესახები გაზეთები და ჟურნალები და მოაწყოს მათი გამოფენა და ხმა-მაღალი კითხვა.

გ. ხუციშვილი.

# ახალი რადიო-ამბები

## საფრანგეთის მთავრობის საფინანსო გეგმა.

საფრანგეთის მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში ორი გეგმა: გადასახადების გადიდებისა და ვალების გასაბათილებელ ფონდის (თანხის) შექმნის შესახებ. პირველი გეგმის მიზანია შემოსავლის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯთაღრიცხვის წონასწორობასა და შეავსებს ხაზინას. მეორე კანონპროექტი ითვალისწინებს ხაზინიდან დამოუკიდებელ სალაროს შექმნას შინაურ ვალების გაბათილების მიზნით.

## მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

ფრანგული გაზეთი „პტი პარიზიენი“ წერილში ფინანსიურ გართულების შესახებ ურჩევს გაყიდულ იქნას თამბაქოს მონოპოლია. გაზეთის აზრით, აქედან აღებული 20 მილიარდი ფრანკი საბოლოოდ გამოასწორებს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას.

## ინგლის-საბჭოთა პროფკავშირთა გაერთიანების კომიტეტის თათბირი.

9 დეკემბერს შესდგა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირთა გაერთიანების კომიტეტის საიდუმლო თათბირი. თათბირის გაგრძელება გადადებულია.

როგორც სარწმუნო ცნობებიდან ჩანს, ორივე მხარე კმაყოფილია მოლაპარაკების მიმდინარეობით.

## ჯილდო მშვიდობიანობის „დამყარებისთვის“

„ექსჩენჯი“-ს სააგენტო იტყობინება, რომ მორიგი კანდიდატები მშვიდობიანობის ჯილდოს მისაღებად არიან ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩემბერლენი და ბრიანი. ჯილდოს ჩვეულებრივი ჯამი უმნიშვნელოა რომ ორივეს შორის გაანაწილონ, ამიტომ გადაწყვეტილია მომავალ წელში მისცენ ჩემბერლენსა და ბრიანს ჯილდო—3 წლის ერთად.

ეს ჯილდოები მიეცემათ ორივე მინისტრს „მათი მუშაობისათვის“ ლოკარნოს ხელშეკრულების განხორციელებაში.

## საბჭოთა კავშირში.

### 10.000 ტრაქტორის შეძენა

ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო საზოგადოებამ შეიძინა ამერიკაში 10.000 ტრაქტორი, რომლებიც 1926 წლისთვის გადმოგზავნილ უნდა იქნას შავი ზღვის ნავთსადგურებში.

საზოგადოებას ამ გარიგებაში მიეცა კრედიტი. ეს მოწმობს იმას, რომ ფორდის ამხანაგობამ შესცვალა ჩვეულებრივი პოლიტიკა. ხსენებული ამხანაგობა დღემდის არავის არ აძლევდა კრედიტს.

## ციმბირის მშრომელთა თვითმფრინავები.

ნოვონიკოლაევსკის აეროდრომზე მოხდა ჰაეროპლანების საზეიმო გადაცემა არმიაზე. ეს ჰაეროპლანები აგებულ იქნა ციმბირის მუშებისა და გლეხების ხარჯზე.

# საქართველოში

## პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქში მუშაობს ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ქალაქის თეატრი. რაიონებში—22 ქოხსამკითხველო, თვითეული ქოხსამკითხველო ღებულობს 5 ცალ ჟურნალსა და გაზეთებს ადგილობრივ ენებზე. აგვისტოში მოწყობილ იქნა თვიანი კურსები ქოხსამკითხველოს გამგეების მოსამზადებლად.

15 ქოხში მოწყობილია დრამწრეები, 17 ქოხში—წითელი კუთხეები. ამ წელში იმუშავებს 90 წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წერტები.

ქოხსამკითხველოების მუშაობას ხელს უშლის გამგეების სათანადოდ მოუმზადებლობა და წიგნების სიმცირე ადგილობრივ ენებზე.

## საკრედიტო ამხანაგობის მომუშავეთა კურსები

ქუთაისში იხსნება მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც მომზადებულ უნდა იქნან ძირა სასოფლო სამეურნეო საკრედიტო განყოფილებების მომუშავეები. განზრახულია მსმენელებად მოწვეულ იქნას დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობებიდან 50 მომუშავე.

## გლეხის სასახლე.

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა თავი გაანება ლოტორეის მოწყობას გლეხთა სასახლის აგებისთვის და გადასწყვიტა შეიძინოს სახლი საკუთარ სახსრით.

## დახმარება სოფლის მრეწავებს.

ხონის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო 6.000 მანეთი სესხი, რომელიც უნდა დაურიგოს დახმარების სახით ხონის რაიონის მატყლის დამმუშავებელ მრეწავებს.

## კომკავშირის პოლიტსკოლები ფოთში

ქალაქ ფოთში დაიწყო მეცადინეობა ახალგაზრდათა კომკავშირის პოლიტსკოლებში. სკოლები ერთწლიანია. 5 სკოლა პირველი საფეხურისაა და შიგ ირიცხება 140 მსმენელი, 6 სკოლა მეორე საფეხურის, რომელშიაც მეცადინეობს 180 მსმენელი.

## ახალქალაქის მომხმარებელ საზოგადოებებში

ახალქალაქის თითქმის ყველა მომხმარებელ საზოგადოებებში გამოილია მანუფაქტურის მარაგი- მოთხოვნილება იდდია. გაეცნო რა კოოპერატივის ფასებს, გლეხობა უკვე აღარ მიდის კერძო ვაჭრებთან.

## უცხო სიტყვათა ახსნა.

**მონოპოლია**— განსაკუთრებული უფლება რაიმეთი სარგებლობის. სახელმწიფო ვაჭრობის მონოპოლია—როცა სავაჭრო წარმოების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია.

**აგრარული საკითხი**—მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის და სამიწო ურთიერთობის შესახებ.

**მარსელიოზა**— რევოლიუციონური სიმღერა, რომელიც შედგენილ იქნა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს.

**დემონსტრაცია**—1) ქუჩაში დარაზმვით ან ყრილობის საშუალებით მოთხოვნილებათა გამომჟღავნება, წარდგენა; 2) ჯარების ყალბი მოძრაობა მტრის შეცდომაში შესაყვანად.

**ტრაქტორი**—თვითმოძრავი მიწის დამმუშავებელი მანქანა.

**ტექსტი**—წიგნის ან წერილის დედანი.

**ექსპლოატაცია**—1) ბუნების ძალთა და სიმდიდრეთა გამოყენება; 2) ერთი გაბატონებული კლასის ან პირის მიერ მეორე კლასის ან პირის ჩაგვრა, ყვლეფა.

**კოალიცია**—გაერთიანება, კავშირი. კოალიციური მთავრობა—სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მთავრობა.

**სინდიკატი**—სამრეწველოების კავშირი, გაერთიანება.

**კრიზისი**—მძიმე გარდამავალი მდგომარეობა, გარდატეხა. მთავრობის კრიზისი—გარდამავალი მდგომარეობა, როცა სახელმწიფოში ერთი მთავრობა გადადგა და მეორე კიდევ არ შემდგარა.

## სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფა წარმატებით მიდის.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფა ქუთაისის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს.

სულ გაწერილი იყო 118.000 მანეთი. აქედან შეკრებილია 32.294 მანეთი. საჩივარს ჯერ ჯერობით ადგილი არ ჰქონია.

## აჭარისტანში.

### ქობულეთის ჭაობების ამოშრობა.

ქობულეთის ჭაობების ამოშრობის მიზნით გაჰყავთ მთავარი არხი და წვრილი არხების ქსელი. ამ ჟამად ამ საქმეზე მუდმივად მუშაობს 100 კაცი.

# შეისწავლე სამხედრო საქმე

## წითელ არმიელის სამუშაო დღე.

ბევრი ამბობს, რომ წითელარმიელს არ აქვს განსაკუთრებული საზრუნავი და მძიმე შრომა.

რა შრომაა, როცა მას მეთაური და პოლიტ-ხელი ყველაფერს უყვება, უხსნის, აჩვენებს, ხოლო ხანდახან ჰკითხავს ან გააკეთებინებს რამეს. ეს ხომ სულ ადვილი საქმეა: მოგითხრობენ—უსმინე, გკითხონ—უპასუხე, დაგისაქმებენ რამეს—გააკეთე.

ეხლა ვნახოთ რა საქმეს ასრულებს წითელ არმიელი მთელი დღის განმავლობაში. დილით. წითელ არმიელი დგება, ბერტყავს საბანს, ზეწარს, ასწორებს ლეიბს, ლოგინს და მიდის პირის დასაბანად.

მიცემულია ნიშანი დილის ამოკითხვაზე. ჩადგა მწკრივში, გაისწორა ხალათი, ქამარი, შეისკვნა ყველა ფოლაქები, გასწორდა და ელოდება როდის გამოუძახებენ. გამოუძახეს—უპასუხებს „აქა ვარ“.

ამოკითხვის შემდეგ გასეირნება. მიდის მწყობრში ამხანაგებთან ფეხშეწყობით. ყურადღებით უსმენს მეთაურის ყველა განკარგულებას. არის განკარგულება „სირბილით“—მოხრის ხელებს ნიდაყვებში და უცდის განკარგულებას—„იარ“ ამ განკარგულებაზე იწყებს სირბილს ფეხშეწყობ. პირს ჰკუმავს, ჰაერს ცხვირით სუნთქავს და პირით ამოისუნთქავს, რათა პირით შესუნთქულ ცივმა ჰაერმა არ გააცივოს; გარბის ფეხგამართვით და რაც შეიძლება, თითისწვერებზე.

ჩაიზე. რაც შეიძლება კარგად უნდა დაღეჭოს პური, თორემ კუჭი აეშლება. მაგიდაზე წყალი არ უნდა დაღვაროს და არ უნდა დაჰყაროს პურის ფიჩხები.

მეცადინეობის დროს. აქ წითელი არმიელის მოვალეობაა არა მარტო უსმინოს, არამედ გაიგოს კიდეც რასაც ეუბნებიან. თუ ვერ გაიგო, უნდა ჰკითხოს, თორემ შემდეგ თვითონვე გაამეორებინებენ და არ ეცოდინება. თუ დღეს ვერ შესძლებს რისიმე გაკეთებას, ვერც ხვალ გააკეთებს, ვინაიდან შეიძლება ეს გაკვეთილი არც კი განმეორდეს. აუცილებელია ისწავლოს ყველაფერი, რასაც მეთაური და პოლიტმომუშავე ასწავლის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდება ბრძოლაში. მეცადინეობის შემდეგ ივახშმებს და მიდის კლუბში ან ბიბლიოთეკაში. კითხულობს პოლიტხელის ან მეთაურის მიერ გაპირებულ წიგნს, თუ წიგნი საინტერესოა—ურჩევს ამხანაგსაც წაიკითხოს.

კლუბში მისვლისას სთხოვს კლუბის გამგეს რათა მან ჩასწეროს წრეში, რომელიც მას მოსწონს და შემდეგ ყოველთვის უნდა დაესწროს წრის მეცადინეობას. უნდა ეცადოს ყველაფერი გაიგოს წრეში მეცადინეობის დროს, რასაც იქ ლაპარაკობენ, რათა შესძლოს სხვასაც გადასცეს შემდეგ ყველაფერი და გააგებინოს.

განსაკუთრებით დაუკლებლად უნდა იაროს სამხედრო-სამეცნიერო წრეში და გულმოდგინეთ უსმინოს და შეითვისოს ყველაფერი, რასაც იქ ასწავლიან, როცა რისიმე გაგება გაუჭირდება, ასეთ შემთხვევაში მას დაეხმარება მეთაური, პოლიტხელი, ძველი ნამსახური ამხანაგი და მისი მეგობარი გაზეთი „წითელი არმიელი“.

აი ეხლა ნათლად სჩანს, თუ რა მუშაობა აწევს წითელ არმიელს. მუშაობა არც ისე ადვილია როგორც ზოგიერთი ამბობს. მაგრამ ამ ძნელი მუშაობის დაძლევა აუცილებლივ საჭიროა და ჩვენი ახალგაზრდა მეომრები უსათუოდ დასძლევენ მას.

ი. ბ.

## შეისწავლე შაშხანა.

### შაშხანის მთავარი ნაწილები და მათი დანიშნულება.

რომ კარგი მსროლელი გამოხვიდე, კარგად უნდა შეისწავლო იარაღი. უნდა იცოდე რადგარა ნაწილებისგან შესდგება შაშხანა და რადგარა მუშაობას ასრულებს თვითეული მათგანი. ამ ჟამად ყველა ასეულებში სწარმოებს შაშხანის შესწავლა. შაშხანას შლიან და ათვალიერებენ ნაწილებს. მაგრამ დათვალიერება ცოტაა, უნდა აიღო ხელში თვითეული ნაწილი, გასინჯო და დაიმახსოვრო უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები და მათი დანიშნულება. განვიხილოთ მთავარი ნაწილები:

**ლულა**—აძლევს მიმართულებას ტყვიას (გულას). ლულაზე ხრახნით მიმაგრებულია ლულის კოლოფი, რომელშიაც მოთავსებულია საკეტი. საკეტი ჩაუშვებს ვაზნას ლულის კოლოფში, კეტავს ლულას, ცეცხლს უჩენს ფისტონას და გამოაქვს უკან მასრა.

**სასხლეტ-საკავებელი**— გამოჰყოფს მორიგე ვაზნას და აკავებს მასრას.

**კორა და ნიშანი**—საჭიროა შაშხანის დამიზნებისთვის.

**ვაზნების კოლოფში** თავსდება ხუთი ვაზნა და მიმწოდები მექანიზმი. უკანასკნელი აწვდის ვაზნებს.

**თოფის ხის ნაწილები** მთლიანად აერთებს შაშხანის ყველა ნაწილებს.

**ლულის საფარი**—იცავს ხელს გაცხელებულ ლულისაგან.

**ხიშტი**—იხმარება ახლო მანძილზე მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში.

**სალტეები და ხრახნები**—ამაგრებენ შაშხანის ნაწილებს.

სხვა [ხელსაწყო—საწმენდი, საშალი, მანჯვალი, და სხვა—ყველაფერი ეს წარმოადგენს შაშხანის მომვლელ და დამცველ ხელსაწყოს.

როცა ეს ნაწილები კარგადაა შესწავლილი, შემდეგ უკვე გადადიან შაშხანის დაწვრილებით გაცნობაზე. მაგრამ თუ მეომრებმა მთავარი ნაწილები არ იციან, შაშხანის შემდეგი გაცნობა დაწვრილებით გაუგებარი და უსარგებლო იქნება.

პ.

## 1905 წ. თბილისში.

(ზოგიერთი ისტორიული სურათები მონაწილის დღიურიდან).

(გაგრძელება)

IV

პირველი მაისი...

მუშები აქა-იქ სწყვეტენ მუშაობას, მიდიან ქალაქ გარეთ, აფრიალებენ წითელ დროშებს, გაისმის ამ დღის შესაფერი მოთხოვნა, მთავრობის საწინააღმდეგო ძახილი, თავისუფლების აუცილებლობა...

ერთ ასეთ მიტინგს თავ-პირის მტვრევით ერეკებიან ყაზახები მარილიან ტბიდან...

დაპერილებით ივსება მეტეხი და ორთაჭალის ციხე, სადაც აღმართული იყო ორი შავი ბოძი სარჩობელად, მუდამ მზა გასანთლული თოკით; იგზავნებიან ეტაპები ციმბირისაკენ...

ამავე ხანიდან იწყება აგრარული მოძრაობა საქართველოს ყოველ კუთხეში, რომელიც „ერთობის“ სახელითაა ცნობილი, განსაკუთრებით საშიშ ხასიათს იღებს გურიაში და ქართლში...

ადგილობრივი ხელისუფლება უძლურია, რომ ჩააქროს მოძრაობა; მთავრობის დახმარებით სდგება თავად-აზნაურთა ანუ როგორც თვითონ ეძახდენ „კეთილშობილთა“ რაზმები, გლეხთა დასატუქსავად, რომელსაც გლეხობამ დაარქვა „შავი რაზმი“, მის საწინააღმდეგოდ სდგება წითელი რაზმი, რევოლიუციონურ თბილისის კარნახით...

ამ რაზმის ლამაზ ბრძოლებიდან ბევრი ლეგენდები აიტეხა, რომელსაც შემდეგ ამღერებდენ ხოლმე ქალები გიტარაზე, ჩონგურზე, მეფანდურენი ათრთოლებდენ აბრეშუმის სიმთ...

V.

რევოლიუციონურ მუშათა გაქანება...

სწრაფი ნაბიჯი...

მთავრობის ღრენა.

ბურჟუაზიის წუხილი...

თავად-აზნაურთა უმრავლესობის რისხვა...

მაგრამ მუშები და გლეხები თუმც სუსტი კავშირით ერთმანეთში, მაგრამ მაინც ზედიზედ უტევენ მჩაგვრელებს...

რაც უნდა ზომები მიეღო მთავრობას, რეპრესიები, მაინც ვერაფრით აშინებდა თბილისის პროლეტარიატს, რომელსაც მხარს უჭერდა ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა...

ის ყოველ ადგილს იყენებს თავის აზრების გასავრცელებლად, ყვირის, იბრძვის, ფურცლებს ისვრის, მშრომელთ მოუწოდებს ბრძოლისაკენ, ის ხან ერთ ქუჩაზე აფრიალებს დროშას და ხან მეორეზე...

თვით გარდაცვლილ მუშის დაკრძალვის დროსაც კი ახდენს დემონსტრაციას, ხშირად კუბოს ატარებენ მეტეხის ციხის წინ რევოლიუციონურ სიმღერებით, ციხიდან პოლიტიკური ტუსაღები წითელ ხალათებს გამოჰკიდებენ დროშებად, პოლიცია, ჯარი, ჟანდარმერია, ყაზახები ესხმოდენ, ჰფანტავდენ, მაგრამ ისევ შეიკრიბებოდენ, სასაფლაოზე მიტინგს ჰმართავდენ...

ბევრი იჭრებოდა, ბევრი ბორკილებში იჭედებოდა...

ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ სადმე ერთად შეკრებილიყვნენ; აგერა სახაზინო თეატრში „კაი გრაკხის“ წარმოდგენის დროს ქანდარიდან ფურცლები გადმოეშვა, ყაზახები ცხენდაცხენ შეიჭრენ თეატრში, ცემა, ტყეპა, ხალხის ქელვა...

აგერა ერთ-ერთ ქუჩაზე მიცვალებულს მიასვენებენ...

წინ მიაქვთ გვირგვინი, მიუძღვის მღვდელი, მისდევს ქალი თმებ გაწეწილი, სტირის; მრავალი მუშები მისდევს ქუდ-მოხდილნი, აჰა მიუახლოვდენ მოედანს, რომელიც ხალხითაა სავსე, დაასვენეს კუბო, ანდერძს უგებენ, ხალხი შემოეხვია, კუბოს ხუფი გადავარდა, და... „მკვდარი“ წამოხტა წითელ დროშით, აიფანტა ფურცლები, გაისმა მარსელიეზა და:

—ძირს თვითმპყრობელობა!

—გაუმარჯოს თავისუფლებას!

გაკვირვება...

ხალხი შეშინებული გარბის, მღვდელი ანაფორას მიაფრიალებს, თმებ გაწეწილ ქალის ხელში მოკლე კეტი ათამაშდა, პოლიცია ჩაერია საქმეში, მაგრამ გაბედული ჯგუფი განაგრძობს დემონსტრაციას; გამოჩნდენ ყაზახები, დაერიენ, ოფიცერმა მათრახი მოუქნია ქალს, მაგრამ მან კეტი დაჰკრა, ცხენიდან გადმოაყირავა...

გაფანტვა... დაჭერა... მთავრობის შეშფოთება...

VI.

მთავრობა შეფიქრიანდა...

მან დაიწყო ამიერ-კავკასიაში ეროვნულ შუღლის გაჩაღება, რომელსაც ნაწილობრივ მიაღწია კიდეც—თათარ—სომეხთა შორის,—მაგრამ ქართველებში ვერ გამოდგა ეს ანკესი, აქ იყო საქართველოს გამოღვიძება, თბილისის მუშა, სოციალ-დემოკრატია, მთავრობის ყოველი ასეთი ცდა ემსხვრეოდა თბილისის შეგნებაზე...

ჯერ იყო და მთავარმართებელი, თავადი გალიცინი იყო, რომელიც სომხებს მტრობდა (რასაკვირველია მშრომელ ხალხს) და ქართველებს თავზე ქონს უსვამდა (იგულისხმება თავად-აზნაურობა).

ამისათვის ერთხელ, როცა ის ეტლით მისეირნობდა კოჯრის ახალ გზაზე (სოლოლაკის თავზე) სამი ჰნჩაკისტი დაეცა, თავში დასჭრეს, ესენი დახოცა ბოტანიკურ ბაღის ხევში, ცნობილ ყაჩაღ ტატო წულუკიძის ნათლია და დამჭერ ბოქაულ ლოლაძის შვილმა, ეს უკანასკნელი რეაქციის დროს ძალიან გახულიგანდა, თბილისში ორჯერ ესროლეს მას, მაგრამ გადარჩა, შემდეგ განჯაში იქნა მოკლული...

შემდეგ სასახლის ქვეშ ხვრელი გაიყვანეს პირდაპირ მდებარე ქამოიანისეულ ეკლესიიდან, რომ აეფეთქებინათ გალიცინი, მაგრამ გაუგეს, სასახლეს ხვრელი შემოარტყეს, ყარაული დადიოდა მიწის ქვეშ...

ამის შემდეგ დაინიშნა მეფის ნაცვლად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, ეს კი ახლა სომხების „სიყვარულს“ შეუდგა და ქართველების დევნას, რაიც, რასაკვირველია, ადრევე, პეტერბურგიდანვე ჰქონდათ ორივეს ნაკარნახევი.

დაშკოვმა სომხის ეკლესიას დაუბრუნა გალიცინის მიერ წართმეული მამულები, რისთვისაც სამღვდელოებამ, სოლოლაკის ბურჟუაზიამ და დაშნაკციუტიუნმა გამართა სამადლობელი პარაკლისი ვანქის ტაძარში; ეს იყო ივნისში, სადაც დიდძალ გახტაკანებს მოეყარათ თავი, რომელიც მაშინ დაშნაკებმა გადაჰკიდეს ოსმალეთს, აჰყარეს, აქეთ გადმოასახლეს საიდუმლო მიზნისათვის...

აქ გამოვიდენ სომეხი სოციალ-დემოკრატები, ამხილეს მთავრობის პოლიტიკა, ბურჟუაზიის ორპირობა, სამღვდელოების თვალთმაქცობა. დაშნაკციუტიუნის ღალატი მშრომელი ხალხისადმი...

—ზარკე, ვრაცია!

დაჰკა, ქართველიაო, იყვირა ვიღაცამ, და დაშნაკელთა მაუზერისტები, ხემბელები (ჯგუფელები) მიესიენ ორატორებს, სცემეს...

აქ იყვნენ თბილისის მუშებიც, რომელთა შორის ქართველებიც ერიენ, ზოგი მათგანი ყაზახებს გადასცეს, რომელნიც იქვე იდგნენ, ჰიშკართან...

სამხედრო წესები იყო ქალაქში, ყოველ ქუჩის კუთხეში ყაზახები იდგნენ, პატრული დადიოდა...

თბილისის მუშებში, სოციალ-დემოკრატიის წყალობით, მუშაობით, მაშინ ეროვნული საკითხი, ეროვნებაზე ლაპარაკი სირცხვილად იყო მიჩნეული, ეს 1917 წ. რევოლიუციიდან დაიწყო, როდესაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთა გამეფდა საქართველოში...

სეზმან ერთაწმინდელი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვევამდელთა მომზადების წერტებზე

## წვევამდელებთან დავიწყეთ მეცადინეობა.

მე-4 ლეგიონის მე-5 ასეული.

პირველ დეკემბრიდან დავიწყეთ 1904 წელში დაბადებულ წვევამდელებთან მეცადინეობა, რომელიც სისტემატიურათ სწარმოებს პროგრამის მიხედვით. ამხანაგები ენერგიულათ ეკიდებიან მუშაობას და სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ. საუბრების დროს ისინი ხშირად იძლევიან შეკითხვებს და მოითხოვენ სათანადო ახსნა-განმარტებას. დიდი ყურადღებით ეკიდებიან სამხედრო საქმეს. ასეულის მეთაურები მთელი შვიდი საათის განმავლობაში მათთან არიან სამეცადინოთ. ზოგიერთი წვევამდელები სიშორის გამო რჩებიან ჩვენთან ღამით. მათ დათმობილი აქვთ ცალკე ოთახი. დეზერტირობას ადგილი არა აქვს. მათ შეგნებული აქვთ თავისი საქმის დიდი მნიშვნელობა და ამიტომ არის, რომ ასე ენერგიულად ეკიდებიან ყველაფრის შეთვისებას.

მეთ. ა. ხიტირია

## დავათვალიერეთ ჩვენი ნაწილი.

9 დეკემბერს მეორე საარტილერიო ლეგიონის მეორე წერტის წვევამდელები წავედით მეორე არტლეგიონში ნაწილის დასათვალიერებლად და საერთოდ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. დიდის სიხარულით მოგვეგება მთელი შტაბის შემადგენლობა და წითელი არმიელები.

მოკლე მგრძნობიარე სიტყვით ლეგიონის თავმა ამხ. ოსელიანმა გაგვაცნო წვევამდელთა მოვალეობანი და გვისურვა ამ მოვალეობათა პირნათლად შესრულება.

ამის შემდეგ დავათვალიერეთ ლეგიონის ყველა კუთხეები. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეორე ლეგიონმა დაიჭირა ეს ახალი ბინა, მისი ხელმძღვანელების ენერგიული მუშაობით ბევრი რამე არის გაკეთებული. უპირველეს ყოვლისა ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახლად მოწყობილმა მშვენიერმა ლენინის კუთხემ, კლუბმა და სამკითხველომ. იშვიათი სისუფთავეა დაცული წ. არმიელთა საწოლ განყოფილებებში, სადაც ყველაფერი რიგზეა მოწყობილი. ყველა ჩვენს შეკითხვებზე წ. არმიელები ზრდილობიან პასუხს იძლევიან. შეკითხვაზე, თუ როგორ პირობებში არიან ისინი ყაზარმაში, დადებითი პასუხია. საჭმელ-სასმელი იმდენი აქვთ, რომ რამოდენიმე დღის პურით სავსე აქვთ ყუთები. მიღებული აქვთ საზამთრო თბილი ტანისამოსი, ფეხსაცმელები და ლოგინები. საწოლ ბინებში ცეცხლი ინთება დღეში ორჯერ; დილა და საღამოთი. ერთი სიტყვით, ამ ცოტა ხნის განმავლობაში მუშაობას სათანადო ნაყოფი მოუტანია ზემო აღნიშნულ ლეგიონში, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან მისი ხელმძღვანელი მუშაკები.

ჩვენზე, წვევამდელებზე ამ სანახაობამ და ნაწილის ასეთმა მდგომარეობამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა.

წვევ. შ. მიასეშვილი.

## ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

სენაკის მე-2 ათასეული.

სენაკის ათასეულმა გამოჰყო თავის წერტებზე გასაგზავნათ ასეულები და ოცეულები, რომლებიც ამ ჟამად აწარმოებენ მუშაობას წვევამდელთა შორის. ჩასვლისას აღნიშნული წერტები სრულიად მოუწყობელი დახვდა. არ იყო აღმოჩენილი სათანადო ბინები და სხვა, მაგრამ იმ თავითვე ენერგიული ზომები იქნა მიღებული და შესაფერად მოვეწყვეთ. დავიწყეთ 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის აღწერა. დანიშნულ დღეზე ყველა უკლებლივ გამოცხადდენ და შევუდექით მეცადინეობას. ყველა გულმოდგინეთ ეკიდება როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საქმის შესწავლას. საერთოდ მეცადინეობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ადგილობრივი სამკითხველოს გამგე ძლიერ გვეხმარება პოლიტიკური ხასიათის წიგნების მოწოდებით. ასევე დიდათ დაინტერესებულია ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენით და ყველაფრით გვეხმარება.

არა გვაქვს მხოლოდ წვევამდელთათვის სადილის დასამზადებელი ქვაბი, რასაც ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

მეთ. მ. ბურკაძე.

## ფიზკულტურის ფრონტზე.

6-ხე ლეგიონი.

ლეგიონში ფიზკულტურას თავიდანვე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ლეგიონის კლუბთან დაარსებულ იქნა სპორტიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა დახელოვნებული მეთაური.

კლუბთან არსებულ წრეს კავშირი ჰქონდა ლეგიონის ყველა ასეულებთან, რომლებშიდაც არსებობდენ პატარა სპორტიული ჯგუფები. წრე იმდენად დაინტერესებული შეიქნა, რომ მასში ყველა ეწერებოდა დაწყებული უფ.-პოლიტ-შემადგენლობიდან, გათავებული წითელ-არმიელებით. ვარჯიშობის გარდა წრეში ხშირად იმართებოდა საუბრები ფიზკულტურის მნიშვნელობაზე. იყო ლექციები და შეჯიბრიც.

საერთოდ სპორტწრის მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა, მაგრამ მის წარსულ მუშაობაში მაინც აღსანიშნავია ერთი გარემოება; წრე არ იყო უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმელით და სავარჯიშო იარაღებით. ეს მუშაობას საგრძნობლად უშლიდა ხელს.

ამ ჟამად სამწუხაროდ თითქმის არაფერი ისმის სპორტწრეზე. თუ ამ რამოდენიმე ხნის წინად გატაცებით აწარმოებდა მუშაობას წრის გამგეობა, ეხლა არაფერი ისმის.

საჭიროა ძველებურად ამოძრავდეს ის და ახალწვეულებსაც შესაფერი აღზრდა მივსცეთ ამ დარგში.

სამხკორი ელზაშვილი.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა.

## ახალწვეულებმა შეითვისეს სამხედრო დისციპლინა.

მე-5-ე ტერლეგიონი

ორი კვირით კარანტინში ყოფნის შემდეგ, ჩვენმა ახალწვეულებმა მიიღეს ტანსაცმელი, რითაც დიდი კმაყოფილი არიან. საუცხოვო მაზარებში გამოწყობილი ისინი პირველ შეხედვით ყველა მეთაურებს გვანან. ახალწვეულები სავსებით კმაყოფილი არიან. ერთ თვეზე მეტია რაც წითელ არმიელთა კვება გაუმჯობესდა ჩვენთან. სადილად მზადდება ორნაირი საჭმელი. ვახშმათაც უმეტეს შემთხვევაში ბრინჯის ფლავია.

ახალწვეულები საკმაოდ გაეცვნენ და შეითვისეს სამხედრო დისციპლინა რაიც სჩანს შემდეგიდან: ზარის მიცემისას (მეცადინეობის ნიშანი) ყველა როგორც ერთი მიისწრაფის წყობილებისკენ. ამხანაგები კარგა ითვისებენ ყოველივეს და ენერგიულად მეცადინეობენ. თავისუფალ საათებში კი მოიჩქარიან ბიბლიოთეკისაკენ, კითხულობენ გაზეთებს და წიგნებს.

სამხკორი ოგანოვი

## ახალწვეულებსაც ვაინტერესებთ საერთო საქმით.

1-ლი არტლეგიონი.

1 დეკემბერს ლეგიონში შესდგა მეორე ბატარეის უპარტიო წითელ არმიელთა კრება, რომელზედაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაკეთებულ იქნა მოხსენება შინა სამსახურის წესდების შესახებ.

მოხსენება გააკეთა ბატარეის უფროსმა, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ახალწვეულებს, თუ როგორი წესრიგი უნდა იქნეს დაცული ბატარეიაში და თუ როგორ უნდა ასრულებდეს თითეული წითელ არმიელი ამ წესს.

კრებაზე გაკეთებული იქნა აგრეთვე მოხსენება ცნობათა ბიუროს მნიშვნელობასა და დანიშნულების შესახებ, რომლის შემდეგ არჩეული იქნა სამი ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

ახალწვეულებს გაეცნოთ აგრეთვე რედკოლეგიის და ნაწილში კედლის გაზეთის გამოშვების მნიშვნელობა. კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება რედკოლეგიის უჯრედის ბიუროსა და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ამორჩევის შესახებ, რის შემდეგ იქვე იქნენ ამორჩეული ამხანაგები.

იმედია ისინი შესაფერი ენერგიით მოჰკიდებენ ხელს დავალებას და მალე დაამშვენებენ ასეულს კედლის გაზეთით.

სამხკორი გ. იაკობიძე.

## ლენკუთხე ენერგიულად მუშაობს

მეთაურთა სკოლის 1-ლი ასეული.

ასეულში 7 ნოემბერს დაარსდა ლენინის კუთხე. კუთხის გამგეობა ამ დღიდან დაწყებული სისტემატიურად აწარმოებს მუშაობას: ატარებს საუბრებს ყოველ ორშაბათობით. ამას გარდა ლ. კუთხე დაყოფილია სხვა და სხვა განყოფილებებათ, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აქტივთა ჯგუფები. ერთი ასეთი საუბარი ჩატარებული იქნა 1-ლ დეკემბერს—საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

კუთხესთან ახლოს სდგას თავისი მუშაობით აგრეთვე ასეულის რედკოლეგია, რომელიც ყოველ ორკვირაში სისტემატიურად უშვებს კედლის გაზეთს. გაზეთში მონაწილეობს კურსანტთა ფართო მასა და საერთოდ ამხანაგები ძლიერ მონდომებით ეკიდებიან ასეულში წარმოებულ კულტურულ საქმიანობას.

ახკორი გ. ბ—ა.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

მეტი პასუხის მგებლობაა საჭირო.

1-ლი ლეგიონი.

ლეგიონში ხშირია შემთხვევა, რომ ასეულებიდან ყარაულის უფროსებათ ისეთი არმიელები ინიშნებიან, რომლებმაც არ იციან საყარაულო ნუსხის შედგენა. ამ გარემოებას არ აქცევენ ყურადღებას ასეთი ყარაულის უფროსები, რაც ხელს უშლის ნუსხების წესიერად დალაგების საქმეს. საჭიროა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიექცეს ასეულების უფროსებისაგან, რათა მომავალში მაინც არ ექნეს მას ადგილი.

სამხკორი ხ. ვ.

# კომუჯრედის მდივნების სემინარის მუშაობა.

ასეულებში კომუჯრედების ჩამოყალიბებამ მუშაობის მთელი სიმძიმე პოლიტ-ხელებს დააკისრა. ამ გარემოებამ გამოიწვია პოლიტ-ხელების დატვირთვა. საჭირო იყო რომ მომზადებულიყო კადრი ამხანაგებისა, რომლებიც შესძლებდენ კომუჯრედების მუშაობის ხელმძღვანელობას.

დივიზიის პოლიტ-განყოფილებას კარგა ხანია დასახული ჰქონდა მიზნად კომუჯრედების მდივნების სემინარის დაარსება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ასეთი კურსების გახსნა შეუძლებელი შეიქნა ოქტომბრის თვემდე.



კომუჯრედის მდივნების გადასამზადებელი სემინარის მსმენელთა ჯგუფი.

პოლიტ-განყოფილებამ ა. წ. 19 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში გახსნა ერთ თვიანი კომუჯრედების მდივნების გადასამზადებელი სემინარი, რომელსაც ესწრებოდა 24 მსმენელი.

სემინარის შემადგენლობა იყო შემდეგი.

წითელ არმიელები—8, ათის თავი—9, ოცის თავის თანაშემწე—6, ექიმის თანაშემწე—1, მუშები—5, გლეხები—19, დაბალი განათლებით—15 შინაური—5 საშვალო—1, მცირე მც.—1, ჯარში შესწავლა—2.

ქართველები—19, ოსი—3, სომეხი—2, წლოვანების მიხედვით—1896 წ. დაბადებული—1, 1899—1, 1900—2, 1901—6,, 1902—14.

წითელ არმიაში სტაჟი—1921 წლიდან—3, 1923წ.—5, 1924—13, 19025წ.—3.

პარტ-სტაჟის მიხედვით. პარტიის წევრი 1918 წლიდან—1 1920—2, 1921 წ.—1, 1924 წ.—1 1925 წ.—16, კომპარტიის კანდიდატები 1924წ.—2, 1925წ.—1, მათში კომკავშირის წევრებიდან—6 ამხანაგი.

სემინარის კურსი კარგათ შეითვისა 14 ამხანაგმა, საშვალოთ—8, სუსტათ—2.

კურს დამთავრებული ამხანაგებში კომუჯრედის მდივნობა უშუალოთ შეუძლიათ 22 ამხანაგს, მხოლოდ მათში სამი კანდიდატია და ამის გამო სანამ ისინი არ გადაირიცხებიან პარტიის წევრათ, მათი არჩევა კომუჯრედის მდივნებათ შეუძლებელია.

სემინარის მეცადინეობა გაგრძელდა ერთი თვე და 6 დღე, რის შემდეგ მოხდა გამოცდები. კომისიამ დაადასტურა, რომ მსმენელებს სემინარის პროგრამა შეთვისებული აქვთ კარგად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სემინარის მსმენელები დაჟინებით მოითხოვდენ, რათა გაფართოებულიყო სემინარის პროგრამა და მეცადინეობის დრო გაგრძელებულიყო, მაგრამ ეს ამჟამად შეუძლებელი შეიქნა.

მსმენელებს განსაკუთრებით დაინტერესება ეტყობოდათ პარტიის ისტორიის შესწავლაში. პოლიტ-განყოფილებამ ბრძანებაში გათვალისწინებულ პროგრამას რესპუბლიკის პოლიტ-სამმართველოს ცირკულიარ № 47-ში, დაუმატა საქართველოს კომპარტიის ისტორიაც და ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ აუცილებელი საჭიროა სემინარის პროგრამას დაემატოს: დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის ისტორია, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორია.

სემინარის მეცადინეობას უმთავრესათ ხელს უშლიდა ქართული ლიტერატურის სიმცირე, რაც მომავალში უნდა იქნეს გამოსწორებული. პოლიტ-განყოფილებას განზრახული აქვს მიმდინარე საზამთრო პერიოდში გახსნას კიდევ კომუჯრედების მდივნების გადასამზადებელი კურსები, რომელშიდაც უნდა იქნეს შეტანილი ზემო აღნიშნული დამატებანი. პარტ-განტვირთვის საკითხი მიღწეული იქნება მთელი ასი პროცენტით და, დღემდე დაშვებული შეცდომებს განსაკუთრებით პარტ-მუშაობის დარგში ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღება.

დარწმუნებული ვართ, რომ ახალ კურსდამთავრებული ამხანაგები გამოიჩენენ სათანადო ინიციატივა--ენერგიას პარტ-მუშაობის დარგში და სათანადო დონეზე ასწევენ პარტ-მუშაობას.

ახალ კურსდამთავრებულ ამხანაგებს უსურვებთ ენერგიული მუშაობას ქართულ დივიზიის საკეთილდღეოთ.

თ. ჭაავა.

## ამოცანა № 1.

გუშაგი სდგას საგუშაგოზე საწყობთან და ცუდათ გრძნობს თავს (ავად გახდა). საყარაულო ბინა შორსაა. შეუძლებელია ხმა მიაწვდინოს და გამოუძახოს ცვლას. განმრინებელი კი დიდხანს არ მოიყვანს ცვლას. ზარი, რომლითაც უნდა გამოიძახოს განმრინებელი, არ მოქმედობს, გაფუჭებულია.

როგორ უნდა მოიქცეს გუშაგი ამ შემთხვევაში? შეუძლია თუ არა მას დასტოვოს ცოტა ხნით საგუშაგო და წავიდეს საყარაულო ბინაზე, რათა ის გამოსცვალონ?

ი. ბ.

### სასადილოში საჭიროა სკამები.

**მეთაურთა სკოლა.**

სკოლის სასადილოში თითქმის 400 კაცს გვიხდება სადილის ჭამა ერთდაიმავე დროს. ყველას სკამები არ გვყოფნის და ზოგიერთს ფეხზე დგომით უხდებათ სადილობა. ვინც მოასწრებს დაჯდომას ისიც დიდ სივიწროვეშია. ხელებს ძლივს ანძრევენ, რის გამო ხშირად ელვრებათ შეჭამადი. საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება და მოგვცენ დასაჯდომი სკამები. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

სამხკორი წ. ცოცხი.

## ჩვენი პოლიტწრე.

**მე-2 ლეგიონი.**

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონის კლუბთან დაარსდა პოლიტ-წრე.

წრე არის დანაწილებული სექციებათ:

ნაციონალურ, მე-14 კონფერენციის, აღმოსავლეთ ერების, წითელი არმიის ისტორიის, დასავლეთ ევროპის, კომუნისტურ პარტიის ისტორიის და ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლ სექციებათ.

სექციები დაყოფილია ასეულებში, რომლებშიც შედიან ყველა მსურველი წ. არმიელები და უფ-პოლიტ-შემადგენლობა. სექციები იკრიბებიან კვირაში ერთხელ. აკეთებენ მოხსენებას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი და შეკითხვები.

3 დეკემბერს ისინი პირველად შეიკრიბენ მოხსენებების გასაკეთებლად.

როგორც პირველი ცდა ზოგიერთი სექციები ვერ იყვენ სათანადოთ მომზადებული. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აღმოსავლეთ ერების შემსწავლელ სექციების მოხსენებამ, მაგრამ რომ მომავლისათვის უფრო ნაყოფიერი და ცოცხალი სახე მიეცეს მოხსენებას უკეთესი იქნება მოხსენებისათვის თან მოიტანონ, რუქები და დიაგრამები.

მეცადინეობას დაესწრო 60-მდე კაცი, შემდეგისთვის ვიმედოვნებთ, რომ ის უფრო ნაყოფიერი იქნება.

სამხკორი ვ. ღ.

## მე-5 ასეულის ცვალებად შემადგენლობის 1-ლი კონფერენცია.

ასეულის პოლიტხელის ინიციატივით მოწვეული იქნა ზუგდიდის წერტის თემრწმუნებულების თათბირი, თემრწმუნებულების მუშაობის გამოცოცხლების მიზნით.

თათბირზე გამართულ კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ ყველა ცვალებადელები თემის კრებას სისტემატიურად არ ესწრებოდნენ, რისთვისაც თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა მოწვეულიყო სადელეგატო კონფერენცია 6 დეკემბერს, რომელიც მოყვანილი იქნა სისრულეში.

6 დეკემბერს შესდგა ზუგდიდის წერტის ცვალებად შემადგენლობის 1-ლი კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა თემებიდან 38 რწმუნებული (3 კაცისაგან 1-თი რწმუნებული).

კონფერენცია გახსნა ამხანაგ ბალათურიამ, რომელმაც გააცნო რწმუნებულებს მისი მნიშვნელობა.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) ტერმშენებლობის პერსპექტივები, 3) სამხედრო კუთხის მოწყობის და გაზეთ „წითელი არმიელის“ გამოწერის შესახებ, 4) მომავალი საბჭოთა არჩევნების შესახებ და 5) მიმდინარე კითხვები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება იქნა გაკეთებული. აღნიშნული იქნა საბჭოთა კავშირის მიღწევები ეკონომიურ, დიპლომატიურ და სხვა ფრონტებზე.

ტერსისტემაზე მოხსენების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომ ყოველი მხრით შეუწყობენ ხელს ამ სისტემის განმტკიცებას და მედგრად იდგომებიან საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

სამხედრო კუთხის მოწყობის და გაზეთ „წითელ არმიელის“ გამოწერის შესახებ კონფერენციამ დაადგინა; ყველა 5-თე ასეულის თემრწმუნებულებმა, არა უგვიანეს 15-ტი დეკემბრისა სამხედრო კუთხეებისთვის გამოიწერონ ორ-ორი ცალი „წითელ არმიელი“ 5-თი თვით, რომლის მოწესრიგება კონფერენციამ მიანდო თემრწმუნებულებს.

სამხედრო კუთხის შესახებ გაიმართა კამათი. აღმოჩნდა— რომ ზოგიერთი თემებში არ ყოფილა ქოხსამკითხველოები. კონფერენციამ დაადგინა ეცნობოს სამხედრო კომისარიატის საშუალებით თემის თავმჯდომარეებს, რათა იქნეს გამონახული კუთხის მოსაწყობი ადგილები.

მომავალ საბჭოთა არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიჩუამ, რომელმაც კონფერენციას მისცა შესაფერი დარიგება თუ როგორ უნდა ჩაებან საბჭოთა აპარატებში ცვალებადი შემადგენლობა.

განხილულ იქნა სხვა სხვა წვრილმანი საკითხებიც. შემდეგ თემრწმუნებულებმა მიიღეს დეკემბრის და იანვრის თვის თემრწმუნებულებისათვის სამუშაო გეგმა და დამატებითი დირექტივები.

კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ქ. ბალათურია.

## უცხოეთის არმიებში

**განმეორებითი სამხედრო სწავლება შვეიცარიაში.**

შვეიცარიის ერთ-ერთ გაზეთის ცნობით, შვეიცარიის ყველა ტერიტქებში მომავალი წლისათვის ეწყობა ყველა ნაირი ჯარებისათვის განმეორებითი კურსები.

კურსების ორგანიზაცია ასეთი იქნება:

ოფიცრებისათვის, ვახმისტრების, უნცროს მეთაურებისათვის 1896—1905 წ. წ. განყოფილებების უფროსების, ეფრეიტორებისა და რიგის ჯარისკაცებისათვის კავალერიის გარდა—19—112 სამეცადინო დღეებამდე.

კავალერიაში კი მოხდება ყველა ოფიცრებისა და ჯარისკაცების გადამზადება.

ამნაირად 1914 წლიდან შვეიცარიაში პირველად ხდება სათადარიგო ჯარის კაცთა გადამზადება. განზრახულია მთელი ქვეითი ჯარის საარმიო კორპუსათ გამოყოფა.

ყველა ეს საუკეთესოთ ამტკიცებს, რომ „მშვიდობიანი“ შვეცარიაც უკან არ რჩება მსხვილ მტაცებლურ სახელმწიფოებს და გაფაციცებით ემზადება მომავალი ომისათვის.

**ჩეხო-სლავია აძლიერებს თავის არმიას**

ლოკარნოს ხელშეკრულებამ გამოიწვია შეიარაღების უფრო გაზრდა. ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც აძლიერებენ თავის შეიარაღებულ ძალებს, ჩეხო-სლავიაც სცდილობს თავისი არმიის გაძლიერებისათვის.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩეხო-სლავიის შეიარაღებულ ძალების რიცხვი აღწევდა 90 ათას კაცამდე, ამავე წლის მეორე ნახევარში კი მისი არმიის შეიარაღებულ ძალების რიცხვი 120 ათასი კაცამდე აღწევს.

არმიის შესანახად და მისი შემდეგში შეიარაღებისათვის ხარჯებმა მიაღწია ერთ მილიარდ მანეთამდე. ამან გამოიწვია მშრომელ ხალხზე გადასახადების გადიდება, რის გამო პარლამენტში ყველა პარტიებმა მოითხოვეს არმიის შემცირება.

## ამბები სოფლებიდან.

**დახმარება სკოლას.** საქარის (შორ. მ.). სათემო გლეხკომმა გადასცა ადგილობრივ სკოლას 55 მანეთი დახმარების სახით.

**წყაროების შეკეთება.** სოფ. დიდომის გლეხკომმა დაადგინა ითავოს სოფლის წყაროების შეკეთება.

**აგურის და კრამიტის ქარხანა.** გაზაფხულიდან სოფელ ბუგეულში (რაჭა) დაიწყებენ კრამიტის ქარხნის აგებას.

**გლეხთა სახლი.** ცხინვალში შეუდგენ გლეხთა სახლის აგებას.

**წყალსადენი.** სოფ. ერგეში და აგარაში (აჭარა) დაიწყო წყალსადენის გაყვანა.

**ქობულეთის** აღმასკომმა გადასწყვიტა ჩაქვის წყალზე შეუდგეს ხიდის აგებას.

## ახალი ამბები.

— **კინო-თეატრი წითელ-არმიელებისათვის.** მეოთხე ლეგიონში ამ დღეებში გაიხსნება წითელ არმიელთა კინო თეატრი.

— **სახლების შეკეთება.** სახლების პატრონები, ტფილ. აღმასკომის დადგენილებით, მოვალენი არიან შეაკეთონ სახლები 1-ლ იანვრამდე.

— **ჭიათურის მაღაროებში** შრომის კომისარიატის ცნობით ამჟამად მუშაობს 3.400 კაცი.

— **ტყავეულობის** დასამზადებლათ საზღვარ გარეთიდან მიღებულია ტყავტრესტის სახელზე 10 ათასი ფუთი წამლეულობა.

— **მუშების მომზადება.** ა.-კ. შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას 6 თვიანი კურსები, მუშებისათვის პროფესიონალური განათლების მისაღებათ.

— **ჩაის გაგზავნა.** სახალხო მამულების ტრესტმა მოსკოვში გაგზავნა 1200 ფუთი ჩაი გასასაღებლათ.

— **სამთო-მადნო მრეწველობა.** განზრახულია წელს დახმარება გაეწიოს ქუთაისის ბარიტის საფქვავ ქარხანას 135 ათასი მანეთით ბარიტის დამზადების საქმის გასაუმჯობესებლათ.

— **მოსახლეობის ზრდა.** მთელ საქართველოში წელს იანვრიდან ივნისამდე აღრიცხულია 33.944 დაბადება.

— **შრომის კომისარიატმა** აკრძალა წარმოებებში შეგირდების მიღება ხელფასის მიუცემლათ.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ოგანოვს** (5-ე ლეგ.) თქვენი წერილი კინოების შესახებ არ დაიბეჭდება. ქართული კინო სურათები იმდენი არ არის, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს კინო სურათების ქართულად ჩვენება.

**ამხ. ამხ. კალანდარაშვილს და ფილიას.** თქვენი წერილი მისალმებაზე არ დაიბეჭდება.

**ამხ. ჯოხაძეს.** (1-ლი საკავშირო) თქვენი წერილი „სამი წლის თავი“ დაგვიანებით მივიღეთ. არ გავა.

**ამხ. ხუშტარას** თქვენი ლექსი „მორიგე მარტოდ“ არ გამოდგა. სწერეთ კორესპონდენციები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. პორფილე ფილიპეს ძე პაპავას.

თუ ვინმემ რაიმე იცით უარყოფითი ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ხელის მოწერით და სათანადო დამტკიცებით ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბისა და პოლიტ-განყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მელიქიძეს, მცხოვრებს ახალციხის მაზრის სოფ. ტოლოში, გლეხი, დივიზიის კლუბის უფროსი. უჯრედი სთხოვს ყველას, თუ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, ან რაიმე უარყოფითი იცით ზემოხსენებულ პირზე, საბუთები გადმოგზავნეთ ათი დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით: 1-ლ ქართულ მსრ. დივიზ. შტაბისა და პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის ბიურო.

შტაბისა და პოლიტ-განყოფ. კომუჯრედის მდივანი გ. გაბისონია.

## განცხადება.

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს ქ. თბილისში მდგომ ნაწილების ყველა სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 12 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 5 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია

### თათბირი,

რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სამხკორთა მუშაობის ამოცანები.
2. მიმდინარე კითხვები.

ნაწილების სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „წითელ არმ.“ რედაქცია.

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.

**დაიკარგა** ზაქსიდან მიღებული ქორწინების მოწმობა № 178 აპოლონ მიხეილის ... ქოიავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლა